ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების და საშუალოვადიანი დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N 03

ქ. ონი **13 ნოემბერი 2023 წელი**

2023 წლის 13 ნოემბერს მოხდა ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა. სხდომას თავმჯდომარეობდა სერგო ხიდეშელი - ონის მუნიციპალიტეტის მერი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

- სერგო ხიდეშელი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;
- გიორგი ნოდარიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე.
- თინათინ ბროლაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კორდინატორი;
- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი ბენდიანიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლერი მღებრიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მარიამი გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ელენე ჩიკვილაძე - სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თამარ ხომასურიძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი, ახალგაზრდული საბჭოს წევრი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი მეტრეველი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მამუკა ყავლაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლევან ორდინიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

- სონია გუგეშაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვასილ მეტრეველი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნინო მეტრეველი - სამუშაო ჯგუფის მდივანი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი;
- დალი რაზმაძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლელა ზაქარაია - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა.

მომხსენებელი - თინათინ ბროლაშვილი

მოისმინეს:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, თინათინ ბროლაშვილმა, რომელმაც ისაუბრა 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში თითოეული პრიორიტეტზე განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ასევე წარდგენილი იქნა 2024 წლის ბიუჯეტი.

ქ-ნ თინათინ ბროლაშვილმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში და 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა ფინანსთა სამინისტროდან მოწოდებული საბიუჯეტო პარამეტრები, ასევე მერიის სამსახურებიდან და ა(ა)იპ ორგანიზაციებიდან მოწოდებული პროექტები.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გივი ბენდიანიშვილმა დეტალურად ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც დაიგეგმა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ვასილ მეტრეველმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელ პრიორიტეტს წარმოადგენს ონი-სასვანოს გზის მშენებლობა, რომელიც განავითარებს როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე საკურორტო და ტურისტულ მეურნეობას, აღნიშნული პროექტი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომლის განხორციელებაც ადგილობრივი ძალებით ვერ მოხერხდება, საჭიროა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კომუნიკაცია და ურთიერთშეთანხმება პროექტის განხორციელებისთვის. ასევე აღნიშნა, რომ გასულ წლებში აშენებულმა ჰესებმა დადებითად იმოქმედა ადგილობრივი შემოსავლების ზრდაზე, კვლავ იგეგმება ახალი ჰესების მშენებლობა, რაც ასევე შემოსავლების გაზრდასთან ერთად გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. მიმდინარეობს კომუნიკაცია მოსახლეობასთან საინფორმაციო თვალსაზრისით ჰესების სარგებლიანობასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა სამუშაო ჯგუფს მოახსენა, რომ ამ პროექტთან დაკავშირებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია და ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები დაწყებულია.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, სერგო ხიდეშელმა სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარა, თუ ვინ არის მომხრე, მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

კენჭის ყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა:

ეთხოვოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მოწონებული დოკუმენტები წარდგენილი იქნას საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:	_____	სერგო ხიდეშელი
თავმჯდომარის მოადგილე	_____	გიორგი ნოდარიშვილი
სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:	_____	თინათინ ბროლაშვილი
მდივანი:	_____	ნინო მეტრეველი
სამუშაო ჯგუფის წევრი:	_____	ვალერიან გობეჯიშვილი
	_____	გივი ბენდიანიშვილი
	_____	ლერი მღებრიშვილი
	_____	მანანა ჩაგელიშვილი
	_____	მარიამი გობეჯიშვილი
	_____	თამარ ხომასურიძე
	_____	ელენე ჩიკვილაძე
	_____	გიორგი მარკოიშვილი
	_____	გივი მეტრეველი
	_____	სონია გუგეშაშვილი
	_____	ვასილი მეტრეველი
	_____	ლევან ორდინიძე
	_____	მამუკა ყავლაშვილი
	_____	დალი რაზმაძე
	_____	ლელა ზაქარაია